ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილების **დანართი №1**
(კოდიფიცირებული, ცვლილებებით და დამატებებით:

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 26.02.2018 წ.№04 ;
09.07.2019 წ. №07-01/19; 06.08.2021 წ. №07-01/44
№07-01/08, **12/02/2026 წ.)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანება.
2. წინამდებარე ეთიკის კოდექსი ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“ ან/და ,,ბსუ“) სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე, მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამების მსმენელებზე, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალზე, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეულ პერსონალზე (მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებელთა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი). *(ცვლილება - 26.02.2018 წ. №04)*
3. ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის ნორმებს და წამოჭრილი ეთიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებს.
4. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება ხუთ ძირითად ღირებულებას:

ა) მაღალ ხარისხს - სწავლების, სწავლის, აკადემიური კვლევისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროებში;
ბ) აკადემიურ და ინტელექტუალურ თავისუფლებას - ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს აკადემიური მიზნების რეალიზების, კერძოდ, კვლევის, სწავლისა და სწავლების პროცესში, ამასთანავე, უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
გ) სამართლიანობას - პიროვნების პატივისცემა და მისდამი სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა. სამართლიანობის პრინციპი საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს სტუდენტებთან და პერსონალთან მიმართებაში;
დ) ანგარიშვალდებულებას - მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვანი განხორციელება;
ე) კეთილსინდისიერებას - თითოეული დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად და გულისხმიერად შესრულება.

5. ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შექმნას ყოველგვარი **დისკრიმინაციისაგან,** ასევე **სიძულვილის ენისაგან** თავისუფალი საუნივერსიტეტო გარემო.

(შენიშვნა: 1. ამ კოდექსის მიზნებისთვის **დისკრიმინაცია არის** განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის,

ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

შენიშვნა 2: სამუშაო ადგილზე შევიწროება (მათ შორის, სექსუალური შევიწროება) არის დისკრიმინაციის ფორმა, კერძოდ, პირის მიმართ ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

შენიშვნა 3: ამ კოდექსის მიზნებისათვის **სიძულვილი ენა** განიმარტება, როგორც სიტყვიერი აგრესია, შეურაცხყოფა, დაცინვა და სხვა, შეურაცჰმყოფელი ეპითეტები, პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ძალადობისკენ მოწოდება, ეროვნული წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, განსხვავებული რელიგიის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა ნიშნის საფუძველზე).

(ცვლილება - 06.08.2021 წ. N07-01/44).

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის წესები და სტანდარტები *(ცვლილება - 26.02.2018 წ.№ 04)*

წინამდებარე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული **ქცევის წესები და სტანდარტები განისაზღვრება:**

ა) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი ბსუ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის (შემდეგში **,,პროფესორ-მასწავლებელი“)**, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალისათვის (შემდეგი **,,პროფესიული განათლების მასწავლებელი**“); (ცვლილება - №07-01/08, 12/02/2026 წ.)

ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის (შემდეგში ,,ადმინისტრაცია“);

გ) სტუდენტებისათვის, პროფესიული სტუდენტებისათვის და მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამების მსმენელებისათვის (შემდეგში ,,სტუდენტი“).

მუხლი 3. პროფესორ-მასწავლებლის სტანდარტი

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი პერსონალის (შემდეგში **,,პროფესორ-მასწავლებელი“**) უმთავრესი მოვალეობაა ჩამოაყალიბოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი, ხელი შეუწყოს მასში შრომისმოყვარეობის, საზოგადოების დანარჩენ წევრთა პატივისცემისა და კანონმორჩილების თვისებების გამომუშავებას, რის უზრუნველსაყოფად მისი ქცევა უნდა **შეესაბამებოდეს** შემდეგ **სტანდარტებს:**

ა) პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია; აცნობიერებს და იცავს სტუდენტთა, პერსონალის ან უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა, მესამე პირთა დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე შევიწროების, მათ შორის სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ აკრძალვებს; *(ცვლილება - 06.08.2021 წ. N07-01/44).*

ბ) პროფესიული საქმიანობისას სტუდენტებს აძლევს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებების დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს;

გ) სასწავლო პროცესს წარმართავს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით;

დ) დარგის, ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად ანახლებს სალექციო კურსის თემატიკასა და სტრუქტურას, მუდმივად სრულყოფს მისი წარმართვის

მეთოდიკას; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციების კომპეტენტურად შესრულებაზე და მუდმივად ზრუნავს ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაზე;
ე) სტუდენტებს უწევს ინტელექტუალურ და აკადემიურ ხელმძღვანელობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საკონსულტაციო განრიგის შესაბამისად (პედაგოგის დატვირთვის ნაწილი), ასევე დამატებით, სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით; ეხმარება სტუდენტს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადალახვასა დასაგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში;
ვ) ლექციაზე შედის დროულად, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული, არ უშვებს ლექციის განსაზღვრულ დრომდე დასრულების ან/და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებს;ეფექტურად იყენებს სწავლებისათვის განკუთვნილ დროს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;
ზ) დანიშნულ დროს, დადგენილი წესის შესაბამისად ატარებს გამოცდას და აფასებს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნას;
თ) ქმნის პირობებს გამჭვირვალე აკადემიური გარემოს შესაქმნელად, სტუდენტებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ; შეიმუშავებს და ნერგავს სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც გამორიცხავს პლაგიატსა და პროფანაციას;
ი) აღიარებს და იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, საავტორო უფლებებს და სამეცნიერო კვლევის წარმოებისა და ამ კვლევის შედეგის (პროექტი, ნაშრომი, სტატია, წიგნი ან სხვა პროდუქტის) გავრცელების პროცესში არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ნორმებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ეთიკურ ნორმებს და სტანდარტებს (კვლევის შესაბამის მიმართულებაში დადგენილი პროფესიული ეთიკის ნორმებს, ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელ წესს, ბსუ-ში დადგენილ ბიბლიოგრაფიისა და ციტირების წესს ან/და სხვა მოთხოვნებსა და აქტებს); *(ცვლილება - 26.02.2018 წ.№04)*
კ) იცავს კონფიდენციალობას სტუდენტების, კოლეგებისა თუ სწავლების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ლ) იჩენს თანაბარ (არაფამილიარულ) ყურადღებას ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა; ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მიუხედავად მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა;
მ) პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად; ხელს უწყობს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას;
ნ) თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, ამავე დროს პატივს სცემს განსხვავებულ შეხედულებებს; არ ეწევა სტუდენტებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
ო) არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;არ იღებს სტუდენტისაგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს მაღალი შეფასებისა თუ მისთვის სხვა უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ, არ იყენებს სტუდენტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
პ) არ აყენებს სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას, სტუდენტებთან ურთიერთობისას იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს;
ჟ) ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს სტუდენტთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
რ) მეტყველებს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით;
ს) უფრთხილდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, იყენებს დანიშნულებისამებრ და გამორიცხავს რესურსების გამოყენებას თვითნებურად, პირადი მიზნებისათვის;
ტ) უფრთხილდება უნივერსიტეტისა დაზოგადად, უმაღლეს იგანათლების რეპუტაციასა და პრესტიჟს. უნივერსიტეტის სახელით საჯარო განცხადების/კომენტარის გაკეთების შემთხვევაში იცავს ეთიკის კოდექსსა და სხვა პირთა უფლებებს. თუ განცხადება/კომენტარი არ არის

დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან, სავალდებულოდ აღნიშნავს, რომ განცხადება/კომენტარი გამოხატავს მის პირად პოზიციას;
უ) სტუდენტებთან ურთიერთობას წარმართავს ისეთი ფორმით, რაცსაფრთხეს არ უქმნის ლექტორის მიერსტუდენტის სწავლის შედეგის ობიექტურ დასამართლიან შეფასებას და რაც სტუდენტს პირადული კონფლიქტის ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად არაქცევს(არ უნდა ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რითაცრომელიმე სტუდენტს/სტუდენტებს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში);
ფ) გამოავლენს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევას (არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის ფარგლებში იკვლევს გამომწვევ მიზეზს და იღებს შესაბამის ზომებს მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.
ქ) არ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების თანახმად (წესდებით, შინაგანაწესით და მართვის ორგანოების სხვა აქტებით განსაზღვრული სამსახურებრივი შეუთავსებლობის ან/და აფილირების წესის მოთხოვნები) შეუთავსებელია მის მიერ ბსუ-ში დაკავებულ პოზიციასთან ან/და გავლენას მოახდენს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე. *(დამატება - 26.02.2018 წ.№ 04).*

1[1]. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტში აღნიშნული **სამეცნიერო კვლევის ეთიკა** ეხება ღირებულებების, ნორმებისა და ინსტიტუციური ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას (კვლევა და მასთან დაკავშირებული ისეთი საქმიანობა, როგორიცაა სწავლება, კვლევის შედეგების გავრცელება, ექსპერტების კონსულტაციები და სხვა). სამეცნიერო კვლევის სახელმძღვანელო პრინციპები ეფუძნება კვლევის ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს კვლევებს სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ: *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 26.02.2018 წ.№ 04 გადაწყვეტილებით)*

ა) ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ზუსტ, ადეკვატურ და შესაბამის ცოდნასთან (აკადემიური თავისუფლება, თვითმყოფადობა, ღიაობა, სანდოობა და ა.შ.);

ბ) ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მკვლევარების ქცევას (მთლიანობა, ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა, კრიტიკა და ა.შ.);

გ) ნორმები, რომლებიც არეგულირებენ იმ ადამიანებთან დამოკიდებულებას, რომლებიც მონაწილეობენ კვლევაში (პატივისცემა, ადამიანის ღირსება, კონფიდენციალურობა, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა და ა.შ.);

დ) ნორმები, რომლებიც არეგულირებენ დანარჩენ საზოგადოებასთან (ვინც არ მონაწილეობს კვლევაში) დამოკიდებულებას (დამოუკიდებლობა, ინტერესთა კონფლიქტი, სოციალური პასუხისმგებლობა, კვლევის გავრცელება და ა.შ.);

2. პროფესორ-მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამკვიდრებას, რის უზრუნველსაყოფად:
ა) თანამშრომლობს უნივერსიტეტისმართვის ორგანოებთან/ადმინისტრაციასთან და თავისი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის განვითარებაში;
ბ) სისტემატიურად იღწვის აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად;
გ) აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში;
დ) არ ერთვება ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

ე) პატივისცემით ეპყრობა დამხმარე (ადმინისტრაციულ-ტექნიკურ) პერსონალს და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
ვ) ხელს უწყობს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და თავს არიდებს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას;
ზ) საჭიროებისამებრ, პროფესიულ და კვალიფიციურ დახმარებას უწევს კოლეგებს, უზიარებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას;
თ) პატივისცემით ეკიდება კოლეგების აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად აფასებს მათ საქმიანობასა და ნაშრომებს;
ი) კოლეგის მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდების შეფასებისას არის კორექტული;
კ) გამორიცხავს კოლეგის დამცირებას, შეურაცხყოფას, ან ანონიმურად დადანაშაულებას;
ლ) მოქმედებს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით;
მ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ურთიერთობისას გამორიცხავს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათების, ან პროვილეგიების დაწესების მოთხოვნას, ან სხვა ისეთ შუამდგომლობას, რაც ადმინისტრაციულ/დამხარე პერსონალს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.
3. უნივერსიტეტის **ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად** ჩაითვლება პროფესორ-მასწავლებლის შემდეგი ქმედება:
ა) პლაგიატი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევის კატეგორია - მძიმე (უხეში); *(ცვლილება* - 09.07.2019წ. №07-01/19; ***ცვლილება*** - №07-01/08, 12/02/2026 წ.)
ბ) სტუდენტის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება;
გ) სტუდენტისგან, უნივერსიტეტში დასაქმებულისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.
დ) დისკრიმინაციასთან, მათ შორის შევიწროებასთან/სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული აკრძალვის დარღვევა. *(დამატება - 06.08.2021 წ. N07-01/44).*

მუხლი 3[1]. პროფესიული განათლების მასწავლებელი (***დამატება*** - - №07-01/08, 12/02/2026 წ.)

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსის“ და ბსუ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების) მიერ დადგენილი წესის/წესების შესაბამისად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ღირებულებებია:
ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი დაკისრებულ საქმიანობას ახორციელებს კეთილსინდისიერად, პატიოსნად, პროფესიონალურად;
ბ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ საქმიანობაში არის მიუკერძოებელი, ობიექტური, პატივს სცემს სხვათა უფლებებს და ზრუნავს მასწავლებლის პროფესიის იმიჯსა და რეპუტაციაზე;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი <u>საქმიანობის განხორციელებისას</u> <u>ვალდებულია:</u>
ა) ხელი შეუწყოს ნდობისა და პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას ბსუ-ში; ზოგადსაკაცობრიო (პლურალიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატია), მულტიკულტურული, მულტიეთნიკური, გენდერული თანასწორობის ღირებულებების დამკვიდრებას;
ბ) დაიცვას ბსუ-ს მიერ დადგენილი შინაგანაწესი და უსაფრთხოების წესები;
გ) უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გამორიცხავს ძალადობასა და დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის,

დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად;

დ) დაიცვას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის (მათ შორის, პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) პროფესიული საქმიანობისას (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და გავრცელების პროცესში) დაიცვას სხვა პირთა ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები;

ვ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, მუდმივად გაეცნოს სფეროში მიმდინარე სიახლეებს;

ზ) ხელი შეუწყოს პროფესიული რეპუტაციის დაცვას და თავი შეიკავოს ისეთი ქცევისგან, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის დისკრედიტაცია;

თ) გაუფრთხილდეს დაწესებულების მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსს და გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ (დაუშვებელია მატერიალური და სასწავლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის). რესურსების გამოყენებისას გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრინციპები.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლის ურთიერთობა **პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან უნდა წარიმართოს** <u>შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:</u>

4.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მოექცეს ღირსეულად და პატივისცემით;

4.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ზრუნავს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებაზე.

4.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ურთიერთობისას ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას;

ბ) შეიმუშაოს სწავლებისა და შეფასების ობიექტური და ინდივიდუალური მიდგომები, ისე რომ დაცულ იქნეს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ღირსება;

გ) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა, განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნისა;

დ) მშვიდობიანი გზით მართოს კონფლიქტები ან კონფლიქტური სიტუაცია, ხოლო პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან არაეთიკურ ქცევაზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

ე) არ გამოიყენოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესაძლებლობები/რესურსი პირადი მიზნებისთვის;

ვ) დაიცვას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ზ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ფიზიკურ, სოციალურ და ინტელექტუალურ განვითარებას;

თ) პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუქმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და უზრუნველყოს მათი უნარების განვითარება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის პრინციპის გათვალისწინებით.

5. პროფესიული განათლების მასწავლებლის ურთიერთობა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან **უნდა წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით** (ვალდებულია):

ა) ხელი შეუწყოს დაწესებულებასა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას;

ბ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესის შესახებ, საჭიროებისამებრ გაუწიოს პედაგოგიური ან პროფესიული კონსულტაცია;

გ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს ინდივიდუალური შეხვედრები.

6. პროფესიული განათლების მასწავლებლის ურთიერთობა დაწესებულების **ადმინისტრაციასთან, კოლეგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან უნდა წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:**

6.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი პატივისცემით ეპყრობა კოლეგებს და ბსუ-ში დასაქმებულ სხვა პირებს, მათ შორის, ხელმძღვანელობას.

6.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ბსუ-ში დასაქმებულ პირებთან, კოლეგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობაში ვალდებულია:

ა) არ ჩაერიოს კოლეგის საქმიანობაში მისი თანხმობის გარეშე;

ბ) ითანამშრომლოს კოლეგებთან, ბსუ-ში სხვა წარმომადგენლებთან და გაუზიაროს მათ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება;

გ) მხარი დაუჭიროს დამწყებ კოლეგებს და მათი თხოვნის შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს პროფესიულ საქმიანობაში;

დ) არ გამოიყენოს კოლეგის/ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირის შესაძლებლობები საკუთარი მიზნებისთვის.

6.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობს დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან, ითვალისწინებს მათ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების, სწავლებისა და შეფასების პროცესში.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (შემდეგში „**ადმინისტრაცია**“) ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას უნივერსიტეტის, როგორც მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებისადმი, უნდა უფრთხილდებოდეს უნივერსიტეტის სახელს და უნივერსიტეტის შენობაში, თუ მის გარეთ, იქცეოდეს უნივერსიტეტის ავტორიტეტისა და დაკავებული თანამდებობის შესაფერისად.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მოვალეა:

ა) საკუთარი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულების განვითარებაში;

ბ) შექმნას სათანადო პირობები სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის;

გ) ხელი შეუწყოს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, ასევე სიძულვილის ენისგან თავისუფალი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნასა და მის არსებობას; *(ცვლილება - 06.08.2021 წ. N07-01/44).*

დ) არ ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

ე) არ დაუშვას და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;

ვ) უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, ეფექტიანად გამოიყენოს უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

ზ) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
თ) პატივისცემით მოეპყრას უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
ი) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და აირიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივება;
კ) არ დაუშვას კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა, ან ანონიმურად დადანაშაულება;
ლ) იმოქმედოს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტში აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის (შეუთავსებლობის) დაუშვებლობა ან/და თავიდან აცილება გულისხმობს, რომ დასაქმებულმა:*(დამატება 26.02.2018 წ.№04)*
ა) არ მიიღოს ისეთი სახის შეთავაზება, რომელიც წარმოშობს ან შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა შეუთავსებლობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან ან/და გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე;
ბ) თავი აარიდოს ისეთ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნეს კერძო ინტერესის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენად მის სამსახურებრივ საქმიანობაზე;
გ) ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან/და შესაძლო წარმოშობის შემთხვევაში, არ განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან ხელშეკრულების მომზადების ან/და მოლაპარაკების პროცესში, ასევე სხვა დაწესებულებისათვის ან/და დასაქმებულისათვის კონსულტაციის გაწევის პროცესში (ასეთ შემთხვევაში დასაქმებულმა უნდა შეატყობინოს ზემდგომ თანამდებობის პირს/სტრუქტურას/მართვის ორგანოს და განაცხადოს თვითაცილება);
დ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას არ მოითხოვოს ან/და არ მიიღოს მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა, ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან და არ გამოიყენოს სამსახურებრივი უფლებამოსილება კერძო ინტერესების სასარგებლოდ;
ე) უპირატეს მდგომარეობაში არ ჩააყენოს ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებთანაც პირადი ან სამსახურებრივი ინტერესი აკავშირებს ან აკავშირებდა, ასევე ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები ან/და მასთან დაკავშირებული პირები, მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას (ასეთ შემთხვევაში, ეჭვის არსებობისას, დასაქმებულმა უნდა მიმართოს უშუალო უფროსს);
ვ) არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების თანახმად, შეუთავსებელია მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან.

მუხლი 5. სტუდენტი

1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით დადგენილი და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები.
2. სტუდენტის მხრიდან ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა:
ა) სააუდიტორიო მეცადინეობაზე ან/და სხვა სახის საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე დაგვიანება;
ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელშეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
გ) მოწევა უნივერსიტეტის შენობაში;
დ) უნივერსიტეტში ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება, ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშაულებების შემოტანა, გავრცელება ან/და მოხმარება;
ე) აზარტული თამაშები;

ვ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომელიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
ზ) ბილწსიტყვაობა ან ძალადობა, სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტთათვის, დასაქმებულის ან უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა, მესამე პირთათვის, ასევე დისკრიმინაციის, მათ შორის შევიწროების/სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული აკრძალვების დარღვევა; *(ცვლილება - 06.08.2021 წ. N07-01/44).*
თ) ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (ინვენტარზე წარწერის გაკეთება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანება);
ი) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერ-სახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
კ) იმ პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, ვისაც უფლება აქვს აღძრას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საკითხი.
3. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა:
ა) სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი დამხმარე მასალის გამოყენება, რაც პროფესორ-მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული:
ბ) სხვა პირის ნამუშევრის თავისად წარმოჩენა;
გ) სასწავლო პროცესისათვის/სტუდენტებისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, ან განადგურებით;
დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში დახმარება;
ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;
ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება, ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
ზ) პლაგიატი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევები);
(ცვლილება - 09.07.2019 წ. №07-01/19; ცვლილება - №07-01/08, 12/02/2026 წ.)
თ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვისი შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება ან/და გამოყენება;
კ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან/და შეცვლა;
ლ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;
მ) გამომცდელზე ზეწოლით შეფასების მიღების მცდელობა.
4. უნივერსიტეტის **სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა,** როგორც დისციპლინური სახდელი, შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი **ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:**
ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერულიან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
ბ)გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
გ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებულ მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას; *(ცვლილება - 09.07.2019წ. №07-01/19; ცვლილება* - №07-01/08, 12/02/2026 წ.)
დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს);
ე) დაარღვევს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აკრძალვას, რაც ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტით“ გათვალისწინებული დისციპლინური საქმისწარმოების/მოკვლევის

შედეგად შეფასდება, როგორც მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა. *(დამატება - 06.08.2021 წ. N07-01/44).*

მუხლი 6. აკადემიური და კვლევის ეთიკის დარღვევა

*(ცვლილება - 09.07.2019 წ. №07-01/19; **ცვლილება** -* №07-01/08, 12/02/2026 წ.)

1. ბსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით".
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულებით" განისაზღვრება კვლევის ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირების, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესი. კომიტეტის მიზანია უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კვლევებში ჩართულთა (,,კვლევის სუბიექტები") უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვა. ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტი საქმიამობის პროცესში გამოვლინილ შესაძლო ეთიკურ დარღვევებს, მათი სიმძიმისა და შედეგების გათვალისწინებით, ჰყოფს ატეგორიებად და შესაბამისად, განსაზღვრავს რეაგირების ზომებს, კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულების შესამისად.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

1. უნივერსიტეტის სტუდენტის და დასაქმებულისმიერ წინამდებარე ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ამ პირთანდადებული ხელშეკრულების შესაბამისად.
2. ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ:
ა) უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური საბჭოს სამდივნოს და რექტორის აპარატის პერსონალის წარმომადგენლებს - უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
ბ) სხვა დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
3. ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვს უნივერსიტეტის სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, დასაქმებულს ან ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტს. *(ცვლილება 09.07.2019წ. №07-01/19; **ცვლილება** -* №07-01/08, 12/02/2026 წ.)
4. ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (მართვის ორგანოთა კომპეტენციის შესაბამისად) იქმნება კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართვას საქართველოს კანონმდებლობის, ამ კოდექსის და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად, ეთიკური დილემის სახეობის შესაბამისად. *(ცვლილება - 09.07.2019 წ. №07-01/19; **ცვლილება** -* №07-01/08, 12/02/2026 წ.)
5. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით ან/და ბსუ-ს **კვლევის ეთიკის კომიტეტის** დებულებით გათვალისწინებულ დარღვევაზე რეაგირების მიზნით, იქმნება ბსუ-ს ეთიკის კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართვას წინამდებარე კოდექსით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით", ბსუ-ს **კვლევის ეთიკის კომიტეტის** დებულებით და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. *(ცვლილება - 09.07.2019 წ. №07-01/19; **ცვლილება** -* №07-01/08, 12/02/2026 წ.)
6. ***(ამოღებულია** - 09.07.2019წ. №07-01/19))*
7. (ცვლილება - 26.02.*2018 წ. N04); **ამოღებულია** -09.07.2019 წ. №07-01/19;*
8. (***ამოღებულია** - 09.07.2019 წ. №07-01/19;)*